**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლში. № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირ-ღოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Д р о э б а“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ბით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

---

**მომავალ 1879 წელს გაზეთი**

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა**

თფილისში მიიღება რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Д р о э б а“.*

**გაზეთის ფასი**

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა — — — | 5 მან. |
| სამის თვისა — — — | 3 „ |
| ერთის თვისა — — — | 1 „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

# საქართველო

### დღიური

*** ხვალ მესამე რაზრიადის ამომრჩეველთა უნდა ამოირჩიონ კიდევ 24 ხმოვანი, და ამით გათავდება ჩვენი მომავალი ქალაქის რჩევის ხმოვანთა არჩევანი.

ეს მესამე რაზრიადი, როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე უმრავლესია რიცხვით და შესდგება ისეთის მცხოვრებლებისაგან, რომელნიც რვა თუმანზე ნაკლებ გადასახადს აძლევენ წელიწადში ქალაქის ხაზინას; მაშასადამე ესენი არიან ულარიბესი ნაწილი ქალაქის ხალხისა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ რაზრიადის ამომრჩეველნი არც სიმდიდრესა და ქართველ-სომხობას, ე. ი. ნაციონალობას, არ მიაქცევენ ყურადღებას; ისინი ამოარჩევენ ისეთ პირებს, რომელზედაც დარწმუნებული იქნებიან, რომ იმათ სარგებლობისა და კეთილ-დღეობისათვის იზრუნავენ, ისეთ პირებს, რომელნიც მარტო ცარიელ სახელსა ანუ კერძო, თავის ჯიბის სარგებლობას როდი ეძებენ „გლასნობაში“, არამედ ქალაქის ღარიბი, დაჩაგრული ხალხისათვის რაიმე სიკეთის მოტანასა.

ამისთანა პირები, ბევრი თუ არა, ცოტა მაინც მოიძებნება ჩვენს ქალაქში. და ვინც იმათ მიანდობს თავის წარმომადგენლობას, მოტყუებული არ დარჩება. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ მდიდრებისა და ჩინიანებისაგან ქალაქს არავითარი ხეირი არ უნახავს; ერთი ჟჩინოვნიკები, ჟუფლოებიც ენახოთ...

*** იმ მეორე რაზრიადის ხმოვანთა სიიდამ, რომელიც გუშინ იყო ჩვენს გაზეთში მოყვანილი, სჩანს, რომ ოცდა-ოთხ კაცში სამი ქართველია ამორჩეული: უუ. დ. ი. ყიფიანი, კ. ქ. მამაცოვი და ი. ა. ფოროქოვი. პირველი ხარისხის ამომრჩეველებმა ოც-და-ოთხ კაცში კი მხოლოთ ერთი ამოირჩიეს: უფ. ნ. დ. ზუბალოვი. ამნაირად ორმოც-და-რვა ახალს ხმოვანში სულ ოთხი ქართველია ამორჩეული, ათამდინ რუსი და სხვა სარწმუნოებისა და დანარჩენი კი სულ სომხები.

*** ამ რამდენისამე ხნის წინათ ქალაქში ჩამოვიდნენ ორნი დანი დავიდოვისა, რომელნიც თფილისის ქართველებს ეკუთვნიან. ამათგანი ერთი არის პიანოს დამკვრელი და მეორე მომღერალი. როგორც შევიტყვეთ, ამათ გერმანიაში მიუღიათ მუზიკის კარგი სწავლა და შემდეგ ვარშავაში.

ამ ორის წლის წინათ ლეიპციგში პიანისტკას კონცერტი ჰქონია და იქაურს ნემეცურ გაზეთებში მოხსენებული იყო იმისი კარგი ცოდნა.

ახლა ამ თვის 20-სა ოთხშაბათს, ქალაქის სობრანიის ზალაში მუხრანბატონის სახლში ექნებათ კონცერტი,

---

# ფელტონი

### მასლაათი

საგანი მასლაათისა.—როგორ არჩევენ სამზღვარ გარეთ თავიანთ წარმომადგენლებს?—ჩვენში?—განსხვავება.—მინუშები შესხმისა.—გარეგნობას ვუყურებთ.—შედარება მეკენჭეთ რიცხვისა და ხმოვანებისა.—მდიდარი და ღარიბი მეკენჭე: ი. მ. მირზოევი და დარჩო ათაბეგოვი.—ჩემი მეგობრის ჰაზრი ქალაქის თავის კანდიდატებზედ: დ. ყიფიანზედ, ივ. თუმანოვზედ, მიხ. ალიხანოვზედ და ანტ. ყორღანოვზედ.—ერთი შენიშვნა უფ. ნიკოლაძის თარგმანზედ.—შენიშვნა იმის შენიშვნაზედ.

ახალი ხმოვანების კენჭის-ყრაა ჩვენს ქალაქში ამ ჟამად. ახალი რჩევა უნდა გამოირჩიონ ქალაქის მეკენჭეებმა.

თუ არ ამ საგანზე სხვა რაზედ უნდა იმასლაათოს ფელტონისტმა დღეს? სხვა რაზედმე რომ დაიწყოს ლაპარაკი, ყურს ვინ დაუგდებს?!

მაშ გვინდა თუ არა, ძალა-უნებურად ჩვენ დღეს ქალაქის ამორჩევაზე, კენჭის-ყრაზე და სხვა ამ გვარ საგნებზე უნდა ვილაპარაკოთ. ფელტონისტის მოვალეობაა, რომ „დღიურ“ საგნებზე, იმისთანა საგნებზე ელაპარაკოს თავის მკითხველს, რომელნიც დღეს აწუხებენ საზოგადოებას, რომლის შეტყობა, გამოკვლევა, გაცნობა დღეს არის საინტერესო და საჭირო მკითხველისათვის...

—

მაგრამ რა ვილაპარაკოთ?

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამისთანა საქმეები ლაპარაკით, განსჯითა და რჩევით კი არ წყდება ხოლმე ჩვენში. შესანიშნავია მართლა: სამზღვარ გარეთ, როცა ამ გვარი ამორჩევებია, მთელი ქალაქი ფეხზე დგას, ყველა მცხოვრებლები ხმა-მაღლა, გაზეთებში და საზოგადო კრებებზე სჯიან, სწონიან, თათბირობენ, ბაასობენ, ცხარობენ, არჩევენ —თუ ვინ უფრო გამოსადეგი იქნება საზოგადოებისათვის, თუ ვის შეუძლიან კარგათ, პატიოსნად დაიცვას ჩვენი ინტერესი, და მხოლოთ ამ ხანგრძლივი ბაასისა და მოლაპარაკების შემდეგ ამოარჩევენ ხოლმე. ასო-ასო გაარჩევენ ყველა კანდიდატებს, იმათ წარსულს, ახლანდელ ცხოვრებას, იმათ კარგ და ცუდ მხარეებს გამოააშკარებენ საქვეყნოთ და შემდეგ უყრიან კენჭს.

ამნაირად, ყველა მეკენჭემ კარგათ იცის—ვის, რა კაცს, რა ჰაზრებისა და მიდრეკილების კაცს ირჩევს ის—თავის წარმომადგენლად.

—

ჩვენში? ჩვენში ყველა ამგვარი საქმე ჩურჩულით იწყება და ჩურჩულითვე თავდება! თუ რამე სთქვი რომელიმე კანდიდატზე, თუ სთქვი, მაგალითად, რომ ეს კაცი ამა და ამ მიზეზით არ გამოგვადგება ჩვენ წარმომადგენლად, ანუ ქალაქის თავად, იმწამსვე მთელი ქვეყანა ყალხზე ადგება:

— როგორ შეიძლება, ბატონო! ეს პირადი შეხება არის ადამიანისაო!

არა, თქვენი ჭირიმე, ეს პირადი შეხება სრულიადაც არ გახლავთ: თქვენ

რომელშიაც ერთი დაუკრავს და მეორე იმღერებს: ლისტის, შოპენის, შუმანის, სილას, დარგომიჟსკის, ძლემის, ვიეტანის, ვენიავსკის და ლოტტოს თხზულებათაგან. ამათთან მონაწილეობას მიიღებს ძიუმმელის შვილი.

ეს კონცერტი საინტერესო იქნება ერთის მხრით იმით, რომ წარჩინებულის კომპოზიტორების ნაწარმოებს მოვისმენთ და მეორეს მხრით მით, რომ ქალაქის ქალები, ევროპიულად მუზიკის სწავლა-მიღებულები, პირველად გამოდიან სახალხოთა.

*** მოსკოვის გაზეთის „სოვრემენნი იზვესტიის“ მე—275 ნომერში დაბეჭდილია ღირს-მესანიშნავი წერილი თ. დავით მრუზინსკისა იმ „აზიური საზოგადოების“ თაობაზედ, რომლის დაარსებაზედაც ამ უკანასკნელ დროს ხშირად ლაპარაკობენ რუსულს გაზეთებში. ადგილის უქონელობის გამო, ამ წერილს დაბეჭდვა შემდეგ ნომრისთვის გადავდევით.

*** პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ პეტერბურღის უნივერსიტეტის სასამართლოს, რომელიც პროფესორებისაგან იყო შემდგარი, გაურჩევია სტუდენტების უკანასკნელი არეულობის საქმე და გარდაუწყვეტია, რომ რამდენიმე სტუდენტი თითო-ოროლი კვირით დატუსაღებული უნდა იყოსო და რამდენსამე სტუდენტსაც საყვედური და შენიშნვა გამოეცხადოსო...

*** ამავე გაზეთების სიტყვით, ახლანდელი სამხედრო მინისტრი გრაფი მილიუტინი სტოვებს ამ თანამდებობას და იმის მაგიერათ, ამბობენ, ღენ. ობრუჩევს ნიშნავენო. ამ გაზეთებში ისიც გამოცხადებულია—თუ რა ახალ თანამდებობას აძლევენ გრ. მილიუტინს.

*** ონიდამ (რაჭიდამ) მოგვივიდა კიდევ საჩივარი სულ იმავე ძაღლზე, რომელიც იქაურ მომრიგებელ მოსამართლეს ჰყოლია და რომლისგანაც მთელი ქუჩა შეკავებული არის და ხალხი შეწუხებულიო. სირცხვილი ონელებისა! ერთმა ძაღლმა ასე როგორ შეაწუხოს მთელი ქალაქი! მოჰკალით და ის იქნება! ძაღლის მოკვლისთვის კანონში ციმბირი არ არის დანიშნული!...

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი და ავღანი

ლონდონში მოსულა შემდეგი ოფიციალური ტელეგრამმა კალკუტიდამ (ინდოეთიდამ) 1 ქრისტეშობისთვეს:

„აქ მოვიდა ამბავი, რომ ავღანის ემირი შირ-ალი ქაბულიდამ გაიქცა და ამ ჟამად თურქისტანში იმყოფება რუსებთანაო. იმის ვაჟი იაკუბ-ხანი გამოშვებულია სატუსაღოდამ. ქაბულში არავითარი მმართებლობა აღარ არის, იქ ჰსუფევს ანარხია და სრული უწესოება. სალდათები მირბიან ბანაკიდამ.“

## ოსმალეთი

გაზეთს „ახალ დროებაში“ იწერებიან 28 ნოემბერს სტამბოლიდამ:

„ახალი სამინისტრო ოსმალეთისა ინგლისის ელჩის ლეიარდის მოხერხებით შესდგა. თითქმის სრულიად ყველა ამ სამინისტროსი არ თანაუგრძნობს რუსეთს. ოსმალები ამბობენ, რომ, ფული თუ გვასესხა ინგლისმა, ჩვენ კიდევ შეგვიძლია რუსეთთან ომის დაწყებაო.

„სტამბოლსა და იმ ადგილებს შუა, საცა ჩვენი ჯარები დგანან, ოსმალებმა რამდენიმე ახალი სიმაგრეააგეს, ციხეები გააკეთეს და ზარბაზნებია დაყენებული.“

ამას იწერება „ახალი დროების“ კორრესპონდენტი; მაგრამ სხვა გაზეთებში კი ამის წინააღმდეგ ამბავს ვკითხულობთ: ახალი მთავარი ვიზირი ხეირედდინ-ფაშა და რუსის ელჩი თ. ლობანოვ-როსტოვსკი თითქმის ყველაფერში მოთავსდნენო და ამ დღეებში რუსეთსა და ოსმალეთს შუა დაბოლოებით მორიგების პირობის შეკვრას უნდა მოველოდეთო.

— ოდესსის გაზეთს „პრავდაში“ იწერებიან, რომ ამ დღეებში ადრიანოპოლიდამ მოვიდა აქაო ღენ. დენკოვსკი, რომელმანც 24 ცეცხლის-გემი დაიქირავა ოსმალეთიდამ რუსეთში ჯარების დასაბრუნებლადაო, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი—როდის დაიწყებენ ამ ჯარების დაბრუნებასაო.

— ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში მოყვანილი იყო ამას წინათ ხმა, რომ ინგლისი, იმ 25 მილიონ გირვანქა სტერლინგში, რომლის სესხებასაც იმას ოსმალეთი სთხოვს, ალექსანდრეტტის

---

გამოდიხართ საზოგადო ასპარეზზედ, თქვენ ამბობთ, ამირჩიეთ მე თქვენ წარმომადგენლად, თქვენ მაგიერად მე ვიზრუნავ თქვენის სიკეთისა და კეთილდღეობისთვისაო,—თქვენ ამას მეუბნებით და მე ნებას არ მაძლევთ, რომ გაგიცნოთ, რომ შევიტყო: ვინ ბრძანდებით, რა კაცი ხართ, რა მიგაჩნიათ თქვენ ჩემთვის და საზოგადოებისათვის სიკეთედ! ნებას არ მაძლევთ შევიტყო, რა საქმეები მიგიძღვისთ თქვენ, რა მიმართულების, რა ზნეობის კაცი ხართ!—ეს როგორ შეიძლება? უცნობ კაცს როგორ დაგენდოთ?

—

ვსთქვათ, წარმოსდგა რომელიმე კანდიდატი, რომელსაც ჰსურს ხმოვანობა ანუ ქალაქის თავობა. ვსთქვათ, მე კარგათ ვიცნობ ამ კაცს, ავდგები და ვთქვი:

„— მოწყალენო ხელმწიფენო! ეს კაცი გახლდათ თევზის მეიჯარადრედ და ისე წაიყვანა საქმე, რომ თავის ოინებით თვითონ კი, მართალია, მილიონები შეიძინა, მაგრამ ამასთანავე ერთის მხრით საიჯარადრო წყლებში თევზები სრულიად ამოსწყვიტა და მეორეს მხრით ხალხსაც საძაგელ, აყროლებულ და ჭიან თევზს აძლევდა და ამ გვარ თევზში ერთი-ორად, ერთი-ოთხად, ახდევინებდა ფასს! ამისთანა კაცი, რომელიც, თავის კერძო სარგებლობისათვის, ყველაფერს ივიწყებს დედამიწაზე: ღმერთს, სინიდისს, პატიოსნებას, ხალხის თანაგრძნობას და სხვ., არ უნდა ამოვირჩიოთ ჩვენ ისეთს თანამდებობაზედ, რომელიც ხალხის სარგებლობის მოსატანად არის გაჩენილი, რომლის ასრულების დროს ხალხს და იმის ინტერესს გროშათაც არ ჩააგდებს...

ან წარმოიდგინეთ კანდიდატად გამოვიდა რომელიმე ჩინოვნიკი, რომელსაც თავის სიცოცხლეში უფროსებთან წელის დრეკის მეტი არა უქნია-რა, და მე ვსთქვი:

„— მოწყალენო ხელმწიფენო! შესაძლებელია, რომ ეს კანდიდატი ბეჯითად ასრულებდეს თავის თანამდებობას. მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ ამა და ამ დროს ამა და ამ კაცს იმან ქრთამი გამოართვა. იმას წელიწადში სულ ოთხი ათასი მანეთი ეძლევა ჯამაგირი და მოგეხსენებათ, რომ ამ სიძვირეში ამ ფულით ისე მდიდრულად ცხოვრება არ შეიძლება, როგორც ის ცხოვრებს. მაგრამ ამასთანავე იმან ააშენა სახლი, რომელიც უკანასკნელი რვა ათასი თუმანი ღირს, იმას აქვს ეკიპაჟები,—საიდამ, რომელი კანონიერი შემოსავლიდამ?!

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მე ან სხვამ ვინმემ ამისთანა სიტყვის თქმა გაბედა რომელსამე კანდიდატზე; რას მეტყვით თქვენ, ეი ამომრჩევლებო, მეკენჭეებო?

— ზაჩუმეთ, ხმას ნუ ამოაღებინებთ! ეგ კერძო ცხოვრებას ეხებაო!

ზანა ამას არ დამიძახებთ? კიდევ უკეთესებიც ამოჩნდებიან თქვენში; ისეთები, რომელნიც იტყვიან:

— ჭკვიანი კაცები ყოფილან ის მეიჯარადრე და ჩინოვნიკი, რადგან ფულები და სიმდიდრე შეუძენიათ, რადგან სცოდნიათ გარემოებით სარგებლობა! ამისთანა კაცები გვეჭირება ჩვენ!

—

საცა ამისთანა შეხედულობაა კენჭისყრაზე, საზოგადო თანამდებობაზედ და ადამიანის ღირსებაზედ, ზნეობაზედ, იქ ხეირიანს რას უნდა მოველოდეთ? რად გაგვიკვირდება, რომ იქ საზოგადო საქმეები ამისთანა კაცების ხელში კოჭლობდნენ?

ჩვენ, როგორც ყველა ნამდვილ განათლებას მოკლებული ხალხი, მხოლოდ გარეგნობას უყურებთ: კაცი მდიდარია, კაცი ჩინიანია, გული და მხრები მოჭედილი აქვს, დიდ კაცებისაგან პატივცემულია,—მაშასადამე ის კარგი კაცი უნდა იყოს, პატიოსანი უნდა იყოს, ჭკვიანი; მაშასადამე ის გამოგვადგება ჩვენ წინამძღვრად!

აი ასე ვსჯით ჩვენ. და კიდეც იმიტომ კარგად არ მიდის ჩვენი საზოგადო საქმეები!

—

მაგრამ თავი დავანებოთ ახლა ამ ფილოსოფიურ გოდებას და ისევ ახლანდელ ამორჩევებზე დავდგეთ.

მოგეხსენებათ, რომ მთელი ჩვენი ქალაქის ამომრჩეველნი ანუ მეკენჭეები სამ ნაწილად (რაზრიადათ) არიან გაყოფილნი: პირველი რაზრიადის ამომრჩევლებმათ

ნავ-სადგურის დათმობას თხოულობსო. ეს ამბავი, როგორც ეტყობა მართლდება. საფრანგეთის გასაჩუმებლად კი, ამბობენ, ინგლისი თუნისის დასაკუთრებაზე დახმარებას ჰპირდება იმას.

### იტალია

დიდი მოძრაობა ყოფილა ხალხისა რომში იმ დღეს, როდესაც, დაჭრილობისაგან მორჩენის შემდეგ, პირველად უნდა წასულიყო პარლამენტი იტალიის სამინისტროს პრეზიდენტი კაიროლი. უანგარიშო ხალხი მოგროვდა თურმე პარლამენტში და იმის შენობის წინ და ახლო-მახლო ქუჩებში, და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს კაიროლის!“

ამ დროს რომში მოსულიყო შემდეგი ტელეგრამმა გარიბალდისაგან:

„მადლენა, 1 ქრისტეშობისთვეს.

„რომმა და იტალიის ასმა ქალაქმა კაიროლის სამინისტროს მხარე უნდა დაიჭირონ! ჯუზეპპე გარიბალდი.“

ეს ტელეგრამმა გაზეთებში იყო დაბეჭდილი, ხალხს ხმა-მაღლა უკითხავდნენ და ხალხიც თავის მხრით ჰყვიროდა: „გაუმარჯოს იტალიის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს გუმბერტს!“

### შვეიცარია

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, ვითომც ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებს განზრახვა ჰქონოდესთ, წინადადება მისცენ შვეიცარიის რესპუბლიკის მმართებლობას, რომ აღუკრძალოს თავის ქვეყანაში ცხოვრება იმ რევოლიუციონერებსა და სოციალისტებს, რომელნიც გერმანიიდამ, რუსეთიდამ ან სხვა სახელმწიფოებიდან განდევნილი ანუ გამოქცეული იქნებიან.

ამ საგნის შესახებ თითქმის ყველა შვეიცარიული გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ ჩვენი კანონი სრულ ნებას აძლევს ცხოვრებისას ყველა პოლიტიკურ დამნაშავეებსაო და ამ კანონის მოსპობაზე ჩვენ არ დავთანხმდებითო.

## ნარევი

ერთს ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ხარაქტერისტიკა სხვა-და სხვა ქვეყნების პარლამენტისა:

„ინგლისის პარლამენტში რომ ზიხარ, ასე გგონია, თითქო ეკკლესიაში ხარო, ისეთი სიჩუმეა და ისეთის სასოებით და წესიერებით სხედან დეპუტატები.

„საფრანგეთის ნაციონალური კრება ჰგავს მიტტინგს, მეჯლიშს, რომელზედაც ისე გაცხარებულია ხალხი, რომ გგონია—აი ახლა ეცემიან ერთმანეთს და მუშტი-კრივი შეიქნებაო და აი ახლაო.

„ვენის რეიხსტალი ბირჟას მოგაგონებსთ.

„იტალიის პარლამენტი კი ჰგავს ზალას, რომელშიაც თითქო სტუმრებს მოუყრიათ თავიო.“

* * *

ჰოლლანდიაში არის ქალაქი—გილი, რომლის მცხოვრებლებიც თითქმის სულ გიჟებისაგან შესდგება. შესანიშნავი ეს არის, რომ თითოეულ ამ გიჟთაგანს, თავის თავს გარდა, ყველა გიჟებათ მიაჩნია და ყველა თურმე იმას იძახის: „ეს რა ხალხში ჩავარდნილვარ!“ ამ გიჟებში ურევია თურმე ერთი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ის არის მთელი მსოფლიოს მეფე და ვინც იმის სანახავად მიდის, თუ მოეწონა, ცალ-ცალკე სახელმწიფოების მეფობას აძლევს.

მეორე იმაზედ არის თურმე გაგიჟებული, რომ მე მწერალი-ლიტერატორი ვარო და ძალიან ჯავრობს, როცა იმის ნაწერებს გაზეთები არ ჰბეჭდავენ; მესამეს გამოჩენილ მხატვრად მაჩნია თავის თავი და სხვ.

1,300 გიჟი ცხოვრობს თურმე მთელს ამ სოფელში.

ექიმები დაიარებიან იმათთან, მაგრამ წამალს არაფერს არ აძლევენ და იმათ სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული: დადიან, მუსაიფობენ, ბილიარდზე თამაშობენ და სხვ.

* * *

ლონდონის არისტოკრატიულ ქუჩაზე კვირა დღეს ორი ქურდი მიდის. ერთს

---

ითვლებიან ისეთი მდიდარი მცხოვრებლები ქალაქისა, რომელნიც წელიწადში, თუ არ ვსცდებით, 300 მანეთზე მეტს ხარჯს იხდიან ქალაქის სასარგებლოდ; მეორე რაზრიადისა იხდიან წელიწადში რვა თუმნიდამ ოც-და-სამ თუმნამდინ და მესამესი რვა თუმანზე ნაკლებს.

უკანასკნელის სიით ქალაქში სულ 4,537 ამომრჩეველია. ამათში პირველი ხარისხის ამომრჩევლების რიცხვი არის სულ—45 კაცი, მეორესი—221 და მესამესი კი დანარჩენი—4,271.

თითოეული ამ სამ რაზრიადთაგანი 24 ხმოვანს ირჩევს თავის წარმომადგენლებად ქალაქის რჩევისათვის: 45 კაცი 24 კაცს ირჩევს, 221-იც 24-ს და 4,271 მეკენჭეც 24-ს! ეს რაზრიადები ხარჯის გადახდაზედ არის დამოკიდებული: ვინც ბევრს აძლევს, იმას მომეტებული ხმა აქვს და ვინც ცოტას—ცოტა.

ეს კანონია, ამის წინააღმდეგის თქმა არ შეიძლება; მაგრამ როგორ არა თქვას კიცმა, რომ იმ დარჩო ათაბეგოვისთვის, რომელიც ქალაქის ხაზინას წელიწადში მხოლოთ 15 კაპეიკს ხარჯს აძლევს, ეს 15 კაპეიკი უფრო ძვირად ღირს, ვინემ ივან მინაიჩ მირზოევისათვის ის 4,132 მანეთი და 18 კაპეიკი, რომელსაც ის იხდის წელიწადში ამავე ქალაქის ხაზინისათვის! როგორ არა ვსთქვათ, რომ იმ დარჩო ათაბეგოვს ქალაქის გამდიდრებაში და გაკეთილდღეებაში მომეტებული ინტერესი აქვს, ვინემ ი. მ. მირზოევს? ვინ იცის, იქნება ამ საწყალმა დარჩომ თავის უკანასკნელი დღიური ლუკმა მისცა ქალაქს და ივან მინაიჩს კი ათასი და ასი-ათასი ამისთანა ფულების გადახდით რა დააკლდება?......

—

მოგეხსენებათ, რომ თითოეულ ფელეტონისტს ჰყავს თითო უცნობი და უხილავი მეგობარი, რომელსაც ტელეფონივით ჩასძახებს და რომელსაც ფელეტონისტი რაც თვითონ ჰსურს, იმას ათქმევინებს.

ერთი ამისთანა მეგობარი მეც გავიჩინე.

და ახლანდელ ქალაქის თავის კანდიდატებზე ამინ აი რა მითხრა:

„—დიმიტრი ყიფიანი, რასაკვირველია, თავიანი და სათავო კაცია. კარგათ მოლაპარაკე, ჩინებული წამოსადეგი, პატიოსანი... მაგრამ ერთი ნაკლულევანება აქვს: ბაზარი არ იცის.

„—იაზონ თუმანოვი, რასაკვირველია, ძალიან წამოსადეგი და ჩინებულის ბოხის ხმით მოლაპარაკე კაცია... მაგრამ იმის მოგონებასთან ყველას უფრუკოც თან წარმოუდგება თვალ წინ.

„—მიხეილ ალიხანოვი, რასაკვირველია, მოხერხებული, ოსტატი კაცია, მთავრობასთან საქმეებს კარგათ გაარიგებს...მაგრამ იმასთან ერთად ყველას საწყალი თევზები, უბედური მატლიანი, აყროლებული თევზები წარმოუდგება თვალწინ.

„—ანტონ ყორლანოვი, რასაკვირელია, მხნე, ენერგიული კაცია, ყოჩაღად საქმის გამრიგებელი და მარჯვედ ფულის მხარჯავი...მაგრამ, თუ მუდამ კალთის ჩამომწევი არ ეყოლა გვერდით, ქალაქის ხაზინას ძეგლების აშენებაში ან ერთი რომელიმე თავხედურ პროექტის შესრულებაში მიაჭყლეტს...“

ჩემმა მეგობარმა კიდევ რამდენიმე კანდიდატი ჩამოთვალა, მაგალითად უფ. კ. რეიტერი, ა. ლ. თაიროვი, ლომიძე და სხვ., მაგრამ ამათ ისეთი დიდი და ისეთი ბევრი „მაგრამ“-ები მიაყოლა უკან, რომ ამათი ჩამოთვლაც კი არა ღირს...

—

უკანასკნელი სიტყვაც „ობზორის“ ნიკოლაძეს ანუ ნიკოლაძის „ობზორს“:

ძალიან გმადლობთ, ჩემი გასული კვირის „მასლაათის“ გადათარგმნისა და თქვენს გაზეთში დაბეჭდვისათვის: ქართველებისთვის იყო დაწერილი, დაე რუსებმაც, თქვენმა მკითხველებმაც გაიცნონ თავის რედაქტორი.

მაგრამ თქვენი ხასიათი ამ თარგმანშიაც კი გამოიხატა: საძაგლად, უაზროთ, უგემურად გადათარგმნეთ! რასაკვირველია განგებ: დაინახონ ჩემმა მკითხველებმაო—როგორი მწერალი-მოწინააღმდეგეები მყავს მეო! მეათასე მინუშია თქვენი კეთილ-სინიდისიანობისა პოლემიკაში, და ამით ვერ გამაკვირვებთ...

ერთი შენიშვნაც: იმ პატარა წინასიტყვაობაში, რომელიც ამ თარგმანს ზედ დაურთეთ, თქვენ ამბობთ, იმიტომ ვთარგმნითო, რომ არ დაიკარგოს ამისთანა ქმნილება (დაცინებით, რასაკვირველია) შთამომავლობისთვისაო.

მაშ რაც „დროებაში“ დაიბეჭდა—დაკარგულია რაღა?!

თუ ეს ასეა, ვერ მოგილოცავთ, და ვერ გეტყვით, რომ თქვენ ოდესმე შთამომავლობამ რიგიანად მოგიხსენიოსთ..

სოლოლაკელი

ამათგანს ორივე ხელები ჯიბეში ჩაუწყვია და ისე ქვე-ქვევით მიიზლაზნება. ამხანაგი მიუბრუნდება იმას და ეტყვის, რომ ეს არისტოკრატიული უბანი არის და მაგ ნაირად სიარულს უზრდელობად ჩამოგვართმევენო.

— ვიციო, უპასუხა იმან; მაგრამ კვირას მე მუდამ ასე ვდღესასწაულობ: მთელი კვირის განმავლობაში მე სხვის ჯიბეში უყოფ ხოლმე ხელს და კვირას კი ორივე ხელები ჩემს საკუთარს ჯიბეში მაქვს.

* * *

ინგლისურს სამასხარო გაზეთს „პონჩში" დაბეჭდილია შემდეგი კარიკატურა:

დგას ინგლისის სალდათი, რომელსაც დაუღია პირი და წელამდი გადაუყლაპავს ავღანის ემირი შირ-ალი. პირ-დაპირ გაჩერებულია რუსის სალდათი და იმის ქვეშ სწერია:

— შევჩერებივარ—მალე დაიღრჩობა ეს სალდათი ამოდენა ლუკმისაგან, თუ არა!...

# ტელეგრამები

**პეტერბურღის ბირჟა, 16 დეკემბერს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 96 | 25 |
| მეორე — — — — — — | 95 | 12 |
| მესამესი — — — — | 94 | 75 |
| მეოთხესი — — — — | 94 | 75 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92 | 87 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 50 |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი — | 8 | $59^1/_2$ |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 237 | 75 |
| მეორე სესხის — — — | 233 | „ |
| 1 მანეთი ღირს: | | |
| ლონდონი — — 22—97 პენსი | | |
| ამსტერდამი — —116—50 ცენტი | | |
| ბერლინი — — —196—12 პფენიგი | | |
| პარიჟი — — —241—50 სანტიმი | | |
| კავკასიის კერასინი — „ — „ — | | |

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

## კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: პ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთად გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

---

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „**რძალი, ბული და მაშენიკები**„—თფილისში: გრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: გიორგი ბარათოვთან, გორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქამეთს: თ. ნიკო დიასამიძისთან მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: პ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

---

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია. — „ცოლი — ბიტირო, თუ ფული?"

---

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზაქარია გრიქუროვის კავკაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

## „სახალხო მეჯლისი"

**სხვა და სხვა ახალი სიმღერები თქმული გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.**

ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქავ ისყიდება აგრეთვე „**ანბანი**" ი. გოგებაშვილისა. ფასი 10 კაპ.

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭდიდან და იქნება გასასყიდათ ამავე ადგილებზედ: ივ. ქერესელიძის **ლექსების** გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან ფასი ყველგან 50 კაპ.

---

ლექსები

## „სიყვარული"

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, გრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის" რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, გ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ქოსტავას დუქანში.

**ფასი** ორი შაური. ორს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

---

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 90 | 2 | 21 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ცხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 13 დეკემბერს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | — |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 10 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 5 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, ზროც. ფუთი . | 7 | 60 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 80 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წინამძღვრიშვილის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—სნებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათს:** ვერმიშევი შინაგანი,

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—იფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—სნებიო ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Декабря 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.